სათაური: გენდერული ყუთი

მოკლე აღწერა/მიმოხილვა

გენდერი არის სოციალურად კონსტრუირებული განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის. ამიტომ გენდერული უთანასწორობა ღრმად არის ფესვგადგმული საზოგადოებასა და კულტურაში. „კაცისა“ და „ ქალის“ ცნებები არის გარკვეული ისტორიული პერიოდისა და სოციალური კონტექსტის პროდუქტი და ამდენად განიცდის ტრანსფორმაციასა და ცვლილებას. ეს აქტიობა მოცემულია სხვადასხვა საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებში, რომელიც მოიცავს ასევე CESI-ს სახელმძღვანელოს თანატოლ განმანათლებელთათვის: „ძალადობა ურთიერთობებში დაუშვებელია“ .

თემა: გენდერული სტერეოტიპები, გენდერული როლები, გენდერული თანასწორობა

დრო: 30-40 წთ

ჯგუფის ზომა: 10-20 მონაწილე

მიზნები

ამ აქტიობის დასრულებისას მოსწავლეებს ეცოდინებათ:

- გენდერული სტერეოტიპების ცნება
- გააცნობიერებენ რომ გენდერული სტერეოტიპები არ არის უცვლელი, არამედ არის სოციალურად კონსტრუირებული
- შეეძლებათ გენდერული როლებზე მსჯელობა: თუ როგორ ისწავლება და ინერგება ის, რად უღირთ ბიჭებსა და გოგონებს თავიანთი მცდელობები - შეესაბამებოდნენ სოციალურად ჩამოყალიბებულ თავიანთ გენდერს.

საჭირო მასალები:

- 2 ფლიფჩარტის ფურცელი
- სკოჩი
- სხვადასხვა ფერის მარკერები

ნაბიჯ-ნაბიჯ

1. დახატეთ (ან სთხოვეთ მოსწავლეს დახატოს) ბიჭი ფლიფჩარტის ერთ ფურცელზე და გოგონა მეორეზე.
2. სთხოვეთ მოსწავლეებს დაარქვან სახელი ბიჭსა და გოგონას: რას დაარქმევდი ამ ბიჭს? რას დაარქმევდი გოგონას?
3. ბიჭის ფიგურის თავზე გააკეთეთ წარწერა: „მოიქეცი როგორც ნამდვილი კაცი“ და გოგონას ფიგურის თავსზე კი : „მოიქეცი როგორც ნამდვილი ქალბატონი“.
4. ფოკუსირება მოახდინეთ ბიჭის ფიგურაზე და კითხეთ მოსწავლეებს: რას ნიშნავს ფრაზა:“მოიქეცი როგორც ნამდვილი კაცი“? - რა ქცევებს ველით ბიჭისაგან, მაშინ

როდესაც მას ვეუბნებით: „მოიქეცი როგორც ნამდვილი კაცი“? - რას ვასწავლით მას იმისათვის, რომ ის გახდეს „ნამდვილი“ კაცი - რის გაკეთებას ან არ გაკეთებას ელიან მისგან?

5. ჩამოწერეთ მოსწავლის პასუხები ფლიფჩარტზე (თქვენ ან მონაწილემ).
6. ფოკუსირება მოახდინეთ გოგონას ფიგურაზე და შეეკითხეთ მოსწავლეებს: რას ნიშნავს ფრაზა:“მოიქეცი როგორც ნამდვილი ქალბატონი“? - რა ქცევებს ველით გოგონასაგან, როდესაც მას ვეუბნებით: „მოიქეცი როგორც ნამდვილი ქალბატონი“? - რას ვასწავლით მას იმისათვის, რომ ის გახდეს „ნამდვილი“ ქალბატონი - რის გაკეთებას ან არ გაკეთებას ელიან მისგან?
7. ჩამოწერეთ მოსწავლის პასუხები ფლიფჩარტზე (თქვენ ან სხვა მოსწავლემ).
8. როდესაც ჩამოწერა დასრულდება, თითოეული სიის გარშემო შემოხაზეთ ყუთი, რომელიც იქნება „გენდერული ყუთი“ ან „გენდერული საპყრობილე“.

9. დისკუსია

9.1 კითხვა: რა არის ის, რაც თქვენ ჩამოთვალეთ?
პასუხი: გოგონებისა და ბიჭების სხვადასხვა გენდერული როლები.

9.2 სად ვსწავლობთ ამ გენდერულ როლებს? როდის ვიწყებთ ამის სწავლას? ვინ გვასწავლის ამ როლებს? ვხედავთ თუ არა ამ დამოკიდებულებებს ჩვენს მშობლებში?
პასუხი:

- მშობლებში, და-ძმებში, მეგობრებში
- მასწავლებლებში, სასკოლო წიგნებში
- სატელევიზიო შოუებში, სარეკლამო რგოლებში, ვიდეო თამაშებში
- მუსიკაში
- ჟურნალებში, წიგნებში
- სპორტში
- ეკლესიაში და სხვ.

შეგიძლიათ კონკრეტული მაგალითების მოტანა სატელევიზო შოუებიდან, სარეკლამო რგოლებიდან, ჟურნალებიდან, ვიდეო თამაშებიდან და სხვ.?

9.3 იმსჯელეთ მოსწავლეებთან ერთად გოგონებისა და ბიჭებისათვის მინიჭებულ გენდერულ როლებს შორის განსხვავებებზე (მაგ.: გოგონოები უნდა იყვნენ „პასიურები“, “დამჯერები“, „მზრუნველები“ და „გამცემები“, ბიჭები კი უნდა იყვნენე“ძლიერები“, „სექსუალურად აქტიურები“, „არ ამჟღავნებდნენ ემოციებს“.

9.4 შეესაბამება ეს რეალურ ცხოვრებას? კერძოდ, თუ მამაკაცი რეცხავს თეფშებს ან გამოხატავს თავის ემოციებს - ნიშნავს ეს იმას, რომ ის არ არის „ნამდვილი მამაკაცი“?. თუკი მოსწავლეები ვერაფერს დაასახლებენ დისკუსიის განმავლობაში აუხსენით მათ, რომ ეს ყველაფერი არის სტერეოტიპები ანუ ის, თუ როგორ ქცევებს ელის საზოგადოება გოგონასა და ბიჭისაგან.

9.5 როდესაც ჩვენ მივიღებთ ამ სტერეოტიპულ როლებს:

- რა მოლოდინები ექნებათ კაცებს/ბიჭებს ქალების/გოგონების მიმართ?
- რა მოლოდინები ექნებათ ქალებს/გოგონებს კაცების/ბიჭების მიმართ?

9.6 რა არის ის, რაც გვამყოფებს ყუთში/საპრობილეში? ჩამოწერეთ მოსწავლეების პასუხები ყუთებს გარეთ და გაუკეთეთ ყუთებისაკენ მიმართული ისრები.
შესაძლო პასუხები:

- ჩვენ ვსწავლობთ მათ ძალიან ადრეულ ასაკში
- სხვებისაგან უარყოფისა და მარგინალიზაციის შიში
- . . . . . .

9.7 რა უჯდება თითოეულ ადამიანს, ბიჭსა თუ გოგონას, ყუთში ცხოვრება? მაგ.: შეუძლია გოგონას გახდეს ინჟინერი? შეუძლია ბიჭს გახდეს ძიძა ან დამლაგებელი?

9.8 არის ყუთიდან გამოსვლა დაკავშირებული რაიმე დანახარჯთან?

9.9 რა მოსდის ადამიანს, რომელიც არ შეესაბამება ყუთის შიგნით არსებულ გზავნილებს?

- რა მოხდება თუ კი ბიჭი გავა „გენდერული ყუთის“ საზღვრებიდან და დაიწყებს ისე მოქცევას, რაც არ შეესატყვისება გენდერულ ყუთს? როგორ მოიქცევა მისი, ოჯახი, თანატოლები და საზოგადოება მის მიმართ?
- რა მოხდება გოგონას შემთხვევაში?

9.10 იცნობთ გოგონას ან ქალს, რომლის ქცევა არ ჯდება ქალის გენდერული ყუთის ჩარჩოებში? / გოგონას ან ქალს, რომელიც არ შეესატყვისება გზავნილებს გენდერული ყუთიდან?
იცნობთ ბიჭს ან კაცს, რომლის ქცევა არ ჯდება კაცის გენდერული ყუთის ჩარჩოებში? / ბიჭს ან კაცს, რომელიც არ შეესატყვისება გზავნილებს გენდერული ყუთიდან?
აღწერეთ კაცები/ქალები, რომლებიც თქვენ მოგწონთ: შეესატყვისებიან ისინი გენდერული ყუთის გზავნილებს?
როგორ ზეგავლენას ახდენენ ეს მოლოდინები ჩვენს მიზნებსა და ოცნებებზე? რისი გაკეთება შეგიძლია შენ იმისათვის, რომ გაუმკლავდე ამ მოლოდინებს და მიაღწიო შენს მიზნებს?

9.11 რას ვაკეთებთ მაშინ, როდესაც ჩვენ დაგვცინიან და შეურაცხყოფას გვაყენებენ იმის გამო, რომ არ შევესაბამებით როლებს, კერძოდ, როდესაც გავდივართ ყუთიდან?

- ოდესმე დაგიცინიათ ან შეურაცხყოფა მიგიყენებიან ვინმესთვის, ვინც იქცეოდა განსხვავებულად იმისაგან, რასაც ელოდნენ მისგან?
- ოდესმე თქვენთვის თუ დაუცინიათ ან მოუყენებიათ შეურაცხყოფა იმის გამო, რომ იქცეოდით განსხვავებულად იმისგან, რასაც ელოდნენ თქვენგან?

განხილვა და შეფასება

იმსჯელეთ რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს საკუთარი ქცევისა და დამოკიდებულებების შესაცვლელად და იმისათვის, რომ გახდნენ როლური მოდელები ბიჭებისა და კაცებისათვის, გოგონებისა და ქალებისათვის.

რჩევები ფასილიტატორს

ამ აქტიობის დასაწყისში რეკომენდებულია სთხოვოთ მოსწავლეებს (1-2 ადამიანს) თქვენს მაგივრად დახატონ გოგონა და ბიჭი. ჩვეულებრივ მოსწავლეები უფრო კრეატიულები არიან ვიდრე ფასილიტატორები, აქვთ კარგი იდეები და უყვართ ხატვა.